

განმარტებითი ბარათი

“საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ” საქართველოს კონსტიტუციურის კანონის პროექტზე

- ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ;
- ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

„საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ“ წარმოდგენილი კონსტიტუციური კანონის მიღების აუცილებლობა აიხსნება შემდეგი გარემოებებით:

საქართველოს კონსტიტუციის 46-ე მუხლის შესაბამისად, მე-18 მუხლით გათვალისწინებული უფლებები შეიძლება შეიზღუდოს საგანგებო და საომარი მდგომარეობის დროს, რაც დასაშვებს გახდის დაკავებული და სხვაგვარად თავისუფლებაზეზღუდული პირის მიმართ ფიზიკური და ფსიქიკური იძულების გამოყენებას. ამან შესაძლოა გამოიწვიოს წამების, არაადამიანური და დამამაცირებელი მოპყრობის/სასჯელის ამკრძალავი ნორმიდან გადახვევა.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი აღგენს აბსოლუტურ აკრძალვას წამების, არაადამიანური მოპყრობის ან სასჯელის მიმართ, მიუხედავად დაზარალებულის ქცევისა.¹ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ წამება განმარტა, როგორც განზრახი არაადამიანური მოპყრობა, რომელიც იწვევს მძიმე და სასტიკ ტანჯვას, ხოლო არაადამიანური მოპყრობა, როგორც ძლიერი ფიზიკური ან სულიერი ტანჯვის მიყენება. წამებასა და არაადამიანურ მოპყრობას შორის განსხვავება მდგომარეობს მიყენებული ტანჯვის ინტენსიურობაში.² დამამაცირებელი მოპყრობა განმარტა, როგორც ისეთი მოპყრობა, რომელიც მსხვერპლში იწვევს შიშის, დათრგუნვისა და არასრულფასოვნების გრძნობას, რაც მიზნად ისახავს პირის შეურაცხყოფას, დამცირებას ან მისი ფიზიკური თუ მორალური წინააღმდეგობის დაძლევას.³ ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის გაერცვლებებისათვის აუცილებელია, რომ მოპყრობამ მიაღწიოს სისასტიკის მინიმალურ ზღვარს. ამ მინიმალური ზღვრის შეფასება საქმის გარემოებებიდან გამომდინარე შეფარდებითია. ის დამოკიდებულია ისეთ

¹ ირლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Ireland v. the United Kingdom*), 1978 წლის 18 იანვარი, Series A no. 25, p. 65, §163; მეტიუ ნიდერლანდების წინააღმდეგ (*Mathew v. the Netherlands*), 2005 წლის 29 სექტემბერი; განაცხადი 24919/03, §175; ლაბიტა იტალიის წინააღმდეგ (*Labita v. Italy*), განაცხადი 26772/95, § 119, ECHR 2000-IV; ლორსე და სხვები ნიდერლანდების წინააღმდეგ (*Lorse and others v. the Netherlands*), განაცხადი 52750/99, 2003 წლის 4 თებერვალი, განაცხადი 52750/99, § 58.

² ირლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Ireland v. the United Kingdom*), 1978 წლის 18 იანვარი, Series A no. 25, p. 65, § 167

³ მეტიუ ნიდერლანდების წინააღმდეგ (*Mathew v. the Netherlands*), 2005 წლის 29 სექტემბერი; განაცხადი 24919/03, §175; ლორსე და სხვები ნიდერლანდების წინააღმდეგ (*Lorse and others v. the Netherlands*), განაცხადი 52750/99, 2003 წლის 4 თებერვალი, განაცხადი 52750/99, § 60.

ფაქტორებზე, როგორცაა მოპყრობის ხანგრძლივობა, მისი ფიზიკური და ფსიქიკური შედეგები და ზოგიერთ შემთხვევაში მსხვერპლის სქესი, ასაკი და ჯანმრთელობის მდგომარეობა.⁴ ეს ნიშნავს, რომ შესაძლებელია ძალადობა, რომელიც გაუმართლებელია მორალური თვალსაზრისით და აკრძალულია ქვეყნის შიდა კანონმდებლობით, არ წარმოადგენდეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას.⁵ თუ ძალადობა მიაღწევს სისასტიკის მინიმალურ ზღვარს, იგი მოექცევა მე-3 მუხლით გათვალისწინებული აკრძალვის ფარგლებში.

ადამიანის უფლებათა სასამართლომ რამდენიმე გადაწყვეტილებაში გაუსვა ხაზი, რომ ფიზიკური ძალადობა შეიძლება მიჩნეულ იქნეს არაადამიანურ მოპყრობად. ფიზიკური ძალის გამოყენება თავისუფლებაშეზღუდული პირის მიმართ, რაც აუცილებლობით არ გამომდინარეობს მისი ქცევიდან (მაგალითად, გაქცევის ან თვითდაზიანების მცდელობისას), ამცირებს მის ადამიანურ ღირსებას და წარმოადგენს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებულ დარღვევას.⁶ გამოძიების მოთხოვნებისა და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესისათვის დამახასიათებელი სირთულეების გამო არ შეიძლება შეიზღუდოს ინდივიდის ფიზიკური ხელშეუხებლობის უზრუნველსაყოფად გათვალისწინებული დაცვის გარანტიები.⁷

როგორც ზემოთ აღინიშნა, კონსტიტუციის 46-ე მუხლის მიხედვით, საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადების შემთხვევაში შეიძლება შეიზღუდოს კონსტიტუციის მე-18 მუხლით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები, მათ შორის დაკავებული ან თავისუფლებაშეზღუდული პირის უფლება, არ დაექვემდებაროს ფიზიკურ ან ფსიქიკურ იძულებას. ფიზიკური ან ფსიქიკური იძულება, თუ იგი მიაღწევს სისასტიკის მინიმალურ ზღვარს, შეიძლება ჩაითვალოს წამებად ან არაადამიანურ მოპყრობად, მიყენებულ ტანჯვის ხარისხიდან

⁴ ირლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Ireland v. the United Kingdom*), 1978 წლის 18 იანვარი, Series A no. 25, p. 65, § 162; მეტიუ ნიდერლანდების წინააღმდეგ (*Mathew v. the Netherlands*), 2005 წლის 29 სექტემბერი; განაცხადი 24919/03, §175; ლორსე და სხვები ნიდერლანდების წინააღმდეგ (*Lorse and others v. the Netherlands*), განაცხადი 52750/99, 2003 წლის 4 თებერვალი, განაცხადი 52750/99, § 59; ტაირერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Tyrer v. the United Kingdom*), 1978 წლის 25 აპრილი, Series A. No. 26 §32; ვან დერ ვენი ნიდერლანდების წინააღმდეგ (*Van der Ven v the Netherlands*), განაცხადი 50901/9, 2003 წლის 4 თებერვალი, § 47;

⁵ ირლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Ireland v. the United Kingdom*), 1978 წლის 18 იანვარი, Series A no. 25, p. 65, § 167

⁶ რიბიჩი ავსტრიის წინააღმდეგ (*Ribitsch v. Austria*), 1995 წლის 4 დეკემბერი, Series A no. 336, p. 26, § 38; კენანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Keenan v. the United Kingdom*), განაცხადი 27229/95, § 113, ECHR 2001-III; მეტიუ ნიდერლანდების წინააღმდეგ (*Mathew v. the Netherlands*), 2005 წლის 29 სექტემბერი; განაცხადი 24919/03, §177;

⁷ ტომასი საფრანგეთის წინააღმდეგ (*Tomasi v. France*), A. 241-A (1992) 15 EHRR I, § 115;

გამომდინარე. გარდა ამისა, საგულისხმოა, რომ ფიზიკური ძალის გამოყენება თავისუფლებაშეზღუდული პირის მიმართ, რომელიც არ არის მკაცრად აუცილებელი მისი ქცევიდან გამომდინარე, წარმოადგენს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას.

შესაბამისად, დაკავებული ან სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირის მიმართ ფიზიკური ან ფსიქიკური იძულების დაშვება საგანგებო მდგომარეობის პირობებში ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილ სტანდარტებს. გარდა ამისა, აღნიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-15 მუხლის მიხედვით, წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის/სასჯელის გამოყენება საგანგებო და საომარი მდგომარეობის დროსაც კი დაუშვებელია.

ამასთან საგულისხმოა ის, რომ აკრძალვა ფიზიკური და ფსიქიკური იძულების გამოყენებასთან დაკავშირებით თავისუფლებაშეზღუდული პირის მიმართ თავისთავად აბსოლუტური არ არის და მისი შეზღუდვა შესაძლებელია კანონით განსაზღვრულ ფარგლებში, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოც უშვებს იმ შემთხვევაში, როდესაც ამის აუცილებლობა თავად დახარალებულის (ანუ იმ პირის, რომელიც ამგვარ მოპყრობას ექვემდებარება) ქცევიდან გამომდინარეობს⁸, მაგალითად, გაქცევის ან თვითდაზიანების მცდელობის დროს⁹, თუმცა ასეთი შეზღუდვა თავისთავად გამომდინარეობს კანონიდან და საერთაშორისო სტანდარტებიდან, საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებული შესაძლო შეზღუდვებისაგან დამოუკიდებლად.

ანალოგიურ მოთხოვნებს ადგენს სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა 1966 წლის პაქტის მე-7 მუხლი, რომლის მიხედვითაც წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა აბსოლუტურ ხასიათს ატარებს და დაუშვებელია თვით საგანგებო და საომარი მდგომარეობის დროს (სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ პაქტის მე-4 მუხლი)¹⁰. არ შეიძლება არსებობდეს რაიმე გამამართლებელი ან შემამსუბუქებელი გარემოება წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის გამოყენების შემთხვევაში.¹¹ ადამიანის უფლებათა კომიტეტის განმარტებით, მე-7 მუხლი კრძალავს ქმედებებს, რომლებიც იწვევენ ფიზიკური ტკივილისა და ფსიქიკური(სულიერი) ტანჯვის მიყენებას.¹²

⁸ რიბიჩი ავსტრიის წინააღმდეგ (*Ribitsch v. Austria*), 1995 წლის 4 დეკემბერი, Series A no. 336, p. 26, § 38;

⁹ ტომაზი საფრანგეთის წინააღმდეგ (*Tomasi v. France*), A. 241-A (1992) 15 EHRR I, § 115; მოსამართლე დე მეიერის მოსაზრება.

¹⁰ ადამიანის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი № 29, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ პაქტის მე-4 მუხლი, უფლებათა შეზღუდვები საგანგებო მდგომარეობის დროს, §7.

¹¹ ადამიანის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი № 20, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ პაქტის მე-7 მუხლი, წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის აკრძალვა, §3.

¹² ადამიანის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი № 20, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ პაქტის მე-7 მუხლი, წამების და

გაეროს წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის საწინააღმდეგო კონვენციის I მუხლი წამებას განმარტავს, როგორც განზრახ მძიმე ფიზიკური ან სულიერი ტანჯვის მიყენებას ინფორმაციის ან აღიარების მოპოვების, დასჯის, დაშინების ან იძულების მიზნით ან დისკრიმინაციის გამო. ეს არ გულისხმობს, ტკივილს ან ტანჯვას, რომელიც დამახასიათებელი და თანამდევია კანონიერი სანქციებისათვის.¹³ თუ არ გვაქვს წამების რომელიმე აუცილებელი ელემენტი, მაგალითად თუ პირს ტკივილი ან ტანჯვა მიაყენეს, მაგრამ არა იმ სიძლიერის და ინტენსიურობის, როგორც ამას წამების დეფინიცია მოითხოვს, ან თუ არ ჩანს მოპყრობის კონკრეტული მიზანი (ინფორმაციის ან აღიარების მოპოვება, დასჯა, დაშინება, იძულება), მაშინ ქმედება დაკვალიფიცირდება, როგორც სასტიკი და/ან არაადამიანური მოპყრობა.¹⁴

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ფიზიკური და ფსიქიკური იძულება თავისი არსით შეიძლება გულისხმობდეს მძიმე ფიზიკური ან სულიერი ტკივილის ან ტანჯვის მიყენებას, რაც წამების და არაადამიანური მოპყრობის ძირითადი ელემენტია. წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა აბსოლუტურ ხასიათს ატარებს და არ შეიძლება შეიზღუდოს საგანგებო და საომარი მდგომარეობის დროსაც კი. შესაბამისად, გამართლებულია საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლიდან მე-4 პუნქტის ამოღება, რომელიც უშვებს საგანგებო და საომარი მდგომარეობის დროს დაკავებული ან სხვაგვარად თავისუფლება შეზღუდული პირის მიმართ ფიზიკური ან ფსიქიკური ძალადობის გამოყენებას და აღნიშნული პუნქტის დამატება მე-17 მუხლისათვის. ამით შენარჩუნდება დაკავებულის ან სხვაგვარად თავისუფლება შეზღუდული პირის უფლება, დაცული იყოს ფიზიკური და ფსიქიკური იძულებისაგან და ამავე დროს თავიდან იქნება აცილებული საგანგებო და საომარი მდგომარეობის დროს პირადი ხელშეუხებლობის უხეში ხელყოფა, რაც წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებით აღებულ ვალდებულებებთან.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

„საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ“ წარმოდგენილი კონსტიტუციური კანონის მიღება უზრუნველყოფს საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებით, კერძოდ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციით, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტით და გაეროს წამების საწინააღმდეგო კონვენციით აღებული ვალდებულებების შესრულებას.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის ამოღებას, რომლითაც

სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის აკრძალვა, §5.

¹³ გაეროს კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის შესახებ, მუხლი 1(1).

¹⁴ მანფრედ ნოვაკი, კომენტარი გაეროს სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ პაქტზე, II გამოცემა, N.P. Engel, Publisher გვ. 161-163;

სიკვდილით დასჯა შეიძლება გამოყენებულ იქნას ორგანული კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. აგრეთვე მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის ამოღებას, რომელიც დაუშვებლად მიიჩნევა დაკავებული ან სხვაგვარად თავისუფლება შეზღუდული პირის ფიზიკურ ან ფსიქიკურ იძულებას და აღნიშნული პუნქტის დამატებას საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლისათვის.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო.

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე
კანონპროექტის მიღება არ იწვევს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

მისი მიღება არ იწვევს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები არ ეკისრება.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტი არ იწვევს რაიმე ფინანსურ შედეგებს იმ პირობათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება მისი მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის, ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის, ან სხვა სახის გადასახდელის დაწესებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

კანონპროექტი არათუ ეწინააღმდეგება, არამედ სრულად შეესაბამება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან;

კანონპროექტი არ წარმოშობს ან/და არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს. წარმოდგენილი კონსტიტუციური კანონის მიღება უზრუნველყოფს საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებით, კერძოდ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციით, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტით და გაეროს წამების საწინააღმდეგო კონვენციით აღებული ვალდებულებების შესრულებას.

გ.დ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები.

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთი არსებობის შემთხვევაში;

წარმოდგენილი პროექტის მომზადებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტების შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთი არსებობის შემთხვევაში;

წარმოდგენილი პროექტის მიმართ აღნიშნული სუბიექტების შეფასება არ არსებობს, იქიდან გამომდინარე, რომ მათ არ მიუღიათ პროექტის მომზადებაში მონაწილეობა.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

კანონპროექტის ავტორია საქართველოს პარლამენტის ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატები“.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

წარმოდგენილი კანონპროექტი არ იწვევს ცვლილებას საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებში.

